№ 200. სექტემბრის 16, კვირა. 1866—1884 სექტემბრის 16, კვირა. № 200.

„დროების“ რედაქცია—სიმონსონოვის ქუჩაზე, ნაზაროვის სახლში, 1-ლი კლასიკური გიმნაზიის უკან.

ხელის-მოწერა მიიღება თბილისში, რედაქციაშივე; ქუთაისში, ჭილაძეების წიგნის მაღაზიაში. გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: Въ Тифлисъ, въ Редакцію „Дроэба“.

ფასი: წლით 9 მ., 11 თვით 8 მ. 50 კ.; 10 თვით—8 მ.; 9 თვით—7 მ 50 კ.; 8 თვით—7 მ.; 7 თვით—6 მ. 6 თვით—5 მ.; 5 თვით—4 მ. 50 კ.; 4 თვით—4 მ; 3 თვ.—3 მ.; 2 თვ.—2 მ.; 1 თ.—1 მ.

# დროება

გამოდის ყოველ-დღე ორშაბათს გარდა.

ფასი განცხადებისა: სტრიქონზე რვა კაპ; განცხადება მიიღება ქართულს, რუსულს და სხვა ენებზედ.

თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს დასაბეჭდად გამოგზავნილ წერილებს. დაუბეჭდველ წერილებს რედაქცია ვერ დაუბრუნებს ავტორს.

„Объявленія изъ Россіи, Царства польскаго и заграницы принимаются только въ цент. конторѣ объявл. А. Метцл., Москва, петровка, № 6.

ცალკე ნომერი «დროებისა» ღირს 5 კაპეიკი.

თავადის ბეჟან წერეთლის ასული სოფიო და თავადნი ლევან, კონსტანტინე, მიხეილ და ივანე აბაშიძენი გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთა, პირველი თავის მეუღლის და მეორენი—მამის თ. ზურაბ გიორგის-ძის აბაშიძის გარდაცვალებას და სთხოვენ მობძანდენ ამ თვის 21-ს, პარასკევს, დილის 10-ს საათზედ, მიცვალებულის განსვენებაზე დასასწრებლად სოფ. დილიკაურიდგან სოფ. ძაცხს საკუთარს საგვარეულო მისაძინებელში. (2—1)

თბილისი, სექტემბრის 16-ს.

ერთს უმთავრესს საშუალებას ხალხის ცხოვრების შესწავლისათვის შეადგენს ის მეცნიერება, რომელსაც სტატისტიკას უწოდებენ. ყველა დაწინაურებულ სახელმწიფოში ამ მეცნიერებას დიდი ყურადღება აქვს მიქცეული. თვით რუსეთშიც, დიდი ხანია, შეიგნეს სტატისტიკის მნიშვნელობა და დააარსეს როგორც ცენტრალური სტატისტიკური დაწესებულება, ისე ადგილობრივნი თვითეულს გუბერნიაში. ძერძოდ საქართველოზედ რომ ითქვას, აქაც არის სტატისტიკური დაწესებულება, როგორც ცენტრალური, ეგრეთვე ადგილობრივნი. ყოველ წლივ სხვა-და-სხვა მოხელენი [illegible] არიან აცნობონ თავიანთ უფროსებს სტატისტიკური ცნობა. ყოველ წლის დამლევს მაზრის უფროსი თხოულობს, რომ მას წარუდგინონ ცნობები—რამდენი დანაშაულობა მოხდა წლის განმავლობაში [illegible] ლობა და სხვ. მაზრის უფროსი შეკრებილს ცნობებს წარუდგენს ხოლმე თავის მთავრობას. სტატისტიკური ცნობები იკრიბებიან ეგრეთვე სხვა მოვლენათა შესახებ, ასე რომ თითქმის არც ერთი ნაწილი ხალხის ცხოვრებისას არა რჩება გაუცნობლად სტატისტიკურის მხრით. თუმცა ჯერ კიდევ ეს ცნობები მთავრობის არხივებში არიან დაცულნი და დრო-გამოშვებით მწერლობაში მათ გამოაშკარავებას ძნელად შეხვდებით, მაგრამ ეს კიდევ არაფერი. საქმე ის არის, რომ როგორც სინამდვილე ამტკიცებს, ეს ცნობები სრულებითაც არ იკრიბებიან ისე, როგორც საჭიროება და სტატის[illegible] ლობათა თავი რომ დავანებოთ და სოფლის მეურნეობას მივმართოთ, აშკარად დავინახავთ, როგორ არის დაყენებული ჩვენში აგრონომიული ანუ მეურნეობითი სტატისტიკა. მაზრის ბოქაულს მოსთხოვენ ხოლმე, რომ მან შეკრიბოს დაწვრილებით ცნობები მისდამი მინდობილ მაზრაში, რამდენი დღიურია ნათესი პურისა, ქერისა, სიმინდისა, მუხუდოსი და სხვ. იგი ადგილობრივ როდი აგროვებს ცნობებს, — გამოიწვევს მამასახლისებს და იმათგან ტყობულობს სოფლის საზოგადოების მეურნეობითს მდგომარეობას. ამ შემთხვევაში ბოქაული იქცევა, როგორც მოხელე. მისთვის საჭიროა მწრაფლივ შეასრულოს თავის უფროსის ბძანება და ასრულებს კიდეც!!. ამის შემდეგ თითონ მკითხველიც გაიგებს—თუ რა ფასის და გვარის იქნება ის სტატისტიკური მეურნეობითი მდგომარეობა... ესევე უნდა ითქვას სისხლის სამართლის სტატისტიკაზე. ჩვენი ხალხის ცხოვრება ამტკიცებს, რომ, რაც დრო და ჟამი გადის, ამ ცხოვრებაში იბადებიან სხვა-და-სხვა ისეთი დანაშაულობანი, რომელთაც წინად ადგილი არა ჰქონდათ. ჩვენში სასისხლო სამართლის სტატისტიკა რომ რიგიანად იყოს დაყენებული, მაშინ შესაძლო იქნებოდა შე[illegible] ხალხის ცხოვრება სისხლის სამართლის მხრივ; შესაძლო იქნებოდა ისიც, რომ მთავრობას საშუალება ეხმარა და როგორმე ეშველა ცხოვრების გაუმჯობესობისათვის. მაგრამ, სამწუხაროდ, აქაც მთავრობა მოკლებულია ნამდვილს სტატისტიკურს ცნობებს.

სტატისტიკური ცნობების შეკრება მაზრებში და სოფლებში მინდობილი აქვსთ ისეთს პირებს, რომელნიც სრულებით მომხადებულნი არ არიან ამ საქმისათვის და საქმეც ხეირიანად არ მიდის.

ამ გვარად შედგენილს «მოხსენებაში» სრულებითაც არ ჩანს ხალხის სტატისტიკური მდგომარეობა; მთავრობა კი მასზედ არის დამყარებული და მის მიხედვით განკარგულებას ახდენს.

ჩვენ თუ ორიოდე სიტყვა წარმოვსთქვით სტატისტიკური ცნობების შესახებ, ეს იმიტომ, რომ გვეჩვენებინა, რა ნაირად საჭიროა სტატისტიკა ხალხის ცხოვრების შესასწავლად და რა ნაირად არის იგი (სტატისტიკა) დაყენებული მაზრებში და სოფლებში. დიდად საჭიროა, რომ ამ საგანს ყურადღება მიაქციონ და შემდეგისათვის მაინც იზრუნონ.

---

## შინაური ქრონიკა.

— ჩვენ შევიტყეთ, რომ ქართული დრამატიული დასისაგან დამოუკიდებელი მიზეზისა გამო ქართული თეატ-

---

«დროების» ფელეტონი, სექტ. 16-ს

## საკვირაო ფელეტონი.

სტუდენტობის დრო და ცხოვრების გავლენა.—ახალი ტიპის ადვოკატი.—ნიმუში მისის „პატიოსნებისა“.—ერთი ჭირი მარგებელია.—ბ. კეზელი—სამის ბრალდებულის დამცველი და ველარ დამცველი.—განცხადებანი.

ჩემს დღეში მე სტუდენტად არა ვყოფილვარ, მაგრამ ნასტუდენტარებისაგან გამიგონია, რომ ამ დროსთანა ტკბილს, საამოს და ამასთანავე სულის ამამაღლებელს (თუმცა კუჭის დამცარიელებელს) კაცი თავის სიცოცხლეში ველარ მოესწრობაო. ყოველ დღე მეცნიერების ტაძარში ტრიალებ, სწავლულთა ენა გესმის, ამხანაგები ძმებად და მეგობრებად მიგაჩნია, რომელთაც ჭირსა და ლხინს უყოფ და გრძნობა-გამოცდილებას უზიარებ. და განა მარტო ამხანაგები? არა, ამ დროს ჯერ კაცი ცხოვრების ზღვას თავისი მღვრივე ტალღებით არ გაუჭუჭყიანებია და იგიც თვისის სიწრფელით მზაა მთელს კაცობრიობას გულ-მტკივნეულად მოექცეს, ტვირთ-მძიმეთა და მაშვრალთ მძიმე ტვირთი შეუმსუბუქოს და ყველა დამნაშავისათვის იპოვოს სიტყვა ნუგეშისა და შებრალებისა. ეს ის დრო არის, როდესაც საციმბიროდ გამგზავრებულთა ბორკილის ჩხარუნზედ, ადამიანს ტანში უნებური ჟრუანტელი უვლის, როდესაც ციხის ვიწრო ფანჯრებიდამ გადმომცქერალ ტუსაღთა მწუხარე სახენი მოგაგონებენ მსხვერპლთა ჩვენის ცხოვრების უკუღმა ტრიალისას. ამ დროს მეცნიერებისა და ტოლ-ამხანაგების სასიკეთო გავლენის ქვეშ მყოფი ახალ-გაზდა არ დაიშურებს თავის უკანასკნელს ღონეს, ოღონდ თავისის ცოდნით და მეცნიერებით იპოვოს რამ შემამსუბუქებელი გარემოება და თუ სრულიად არა, ცოტაოდნად მაინც, გაუადვილოს ატანა სამართლიანის, თუ უსამართლო სასჯელისა.

თუ ყველანი არა, უმეტესობა მაინც უმაღლესს სასწავლებელში მოსწავლეთა ესეთის გამაკეთილშობილებელის გრძნობით არიან გამსჭვალულნი და მათგანვე არის საანბანო ჭეშმარიტებად მიღებული ის ჰუმანიური სწავლა, რომელიც უარ-ჰყოფს სასჯელთა სისტემას და ყოველი დამნაშავე მიაჩნია ზნეობრივ ავადმყოფად, რომელსაც უფრო მორჩენა ეჭირვება ვიდრე ოთხკედელ-შუა გამომწყვდევა. მაგრამ სამწუხაროდ, შემდეგ უნივერსიტეტის კედლებიდამ გამოსვლისა, ამ ახალგაზდათა მომეტებულს ნაწილს, ცხოვრება თავის ბეჭედს ასვამს და ჰხდის მამონისაგან დასაკუთრებულ მონად; არა თუ მარტო იმათ, რომელთაც მაშინვე სამოხელეო გზისკენ გადაუხვიეს და ცხოვრების საგნად სამსახურში წინ-წაწევა გაიხადეს, არამედ, იმათაც, რომელთაც თავიანთი თავი მოწინავე პირად მიაჩნიათ და საზოგადოებას ამაყად ზნეობრივს კანონებს უქადაგებენ.

***

წაიკითხავდით და ზიზღითაც წაიკითხავდით ბ. დ. კეზელის წერილს «ახალ მიმოხილვაში», რომელიც ჩვენს გაზეთშიაც იყო გადმობეჭდილი: სექტემბრის 4-ს სამოსამართლო პალატაში წარსდგა ექვსი კაცი, რომელთაც ბრალდებოდათ გლეხის ჩატიაშვილის სახლზე ავაზაკებრივი თავდასხმა. სამს მათგანს თავიანთ დამცველად აერჩიათ ბ. დ. კეზელი, რომელიც გარჩევის დღეს არ გამოცხადდა პალატაში, რადგან... რადგან მისმა კლიენტებმა ნახევარ-გასამრჯელო, რომელიც, პირობისამებრ, წინდაწინ უნდა მიეცათ, ვერ მისცეს. ბრალდებულნი პალატაში აცხადებდენ თურმე, რომ ფული მიცემული გვაქვსო და რადგან ბ. კეზელს არ უნდა რომ «პალატამ და სამსჯავროს დარბაზში მყოფმა ხალხმა ცუდი აზრი შეადგინოს მის პატიოსნებაზე», ამისათვის ბეჭდავს ზემოხსენებულ წერილს. ბოლოს უმატებს: «მე რომ კეთილ-სინიდისიერად ვემზადებოდი დასაცველად, ამის დამტკიცება შეუძლიან სამოსამართლო პალატის კანცელარიასაო.»

ვგჯერა, კანცელიარების დაუკითხავადაც, რომ ბ. კეზელი კეთილ-სინიდისიერად ემზადებოდა საქმის დასაცველად; გვჯერა, რომ ბრალდებულთა ფულის მიცემა ვერ მოუხერხეს; გვჯერა ისიც, რადგან თავის პირითვე აღიარებს, რომ ამ მიუტევებელ დანაშაულობის გამო, დამცველმა ბრალდებულნი მოულოდნელად უმწეოდ და უპატრონოდ დაჰყარა სწორედ საქმის გარჩევის დღეს, თუმცა საქმე რიგიანადა ჰქონდა შეგნებული და ნახევარ საათით გამოსვლისა და ლაპარაკის მეტი არა დაეხარჯებოდა რა. ვგჯერა ისიც, რომ, როგორც ამბობენ,—სასამართლომ ბედკრულნი ბრალდებულნი უადვოკატოდაც გაამართლა და ცოდვილნი ვართ, ჩვენ რომ ბ. კეზელის მჭევრ-მეტყველებას, ლოგიკურ მსჯელობას და დაჩაგრულ-

...რის სეზონი დაიწყება მხოლოდ კვირას, სექტემბრის 23-ს, და არა დღეს.

— გუშინ ჩვენ დავესწარით ჩვენის ქვეყნის წარსულის ისტორიის რამდენსამე მოყვარე პირთა მოლაპარაკებას ქართული ისტორიულისა და არხეოლოგიურის საზოგადოების დაარსების შესახებ. ზოგმა ის აზრი გამოსთქვა, რომ უმჯობესი იქნება წესდებას და ყოველ გვარ პარაგრაფებს თავი დავანებოთ და პირდაპირ დავიწყოთ საქმე ერთის მხრით საისტორიო კრებულის ბეჭდვით და მეორე მხრით — იმ მასალის ბეჭდვით და გამოქვეყნებით, ურომლოდაც ყოველ გვარი ისტორიული ძიება და გამოკვლევა დიდად გასაჭირია და თითქმის სრულიად შეუძლებელიც.

ამ საგნის შესახებ და აგრეთვე ისტორიულის საზოგადოების დაარსების საჭიროებასა და მნიშვნელობაზედ, ჩვენ ეხლა სიტყვას არ გავაგრძელებთ, ვიტყვით მხოლოდ, რომ ეხლა ჩვენს ახალ-გაზრდობაში დიდი სურვილი და სიყვარული არის აღძრული სამშობლო ისტორიის შესწავლისა. ამ მოვლენას შეუძლიან გაუძღვეს ხეირიანად და წესიერად დაარსებული საზოგადოება, რომელსაც ის სახსარი აქვს, რომ შეჰკრეფს ხოლმე სხვა-და-სხვა ადგილას გაფანტულ კერძო პირებს და დააყენებს მათ ერთსა და იმავე გაკვლეულ გზაზე. საზოგადოების დაარსება იმითია უფრო კარგი, რომ მასში ჰარმონიულად [illegible] არიან პიროვნული თავისუფლება და წევრთა შეერთებული, ერთის სულით განცხოველებული ძალა. თუ რა ნაირად არის აღძრული ჩვენს ახალ-გაზრდობაში სიყვარული სამშობლო ისტორიის შესწავლისა, ამას ამტკიცებს ის ფრიად საყურადღებო ფაქტი, რომ ამ ბოლოს დროს სასულიერო აკადემიებში მოსწავლე ქართველები უმეტესად ეტანებიან თავიანთ სამშობლოს წარსულის შესწავლას. ამას წინად ჩვენ ვსთქვით, რომ სასულიერო სემინარიის ერთს მასწავლებელთაგანს შეუდგენია მონოგრაფია ანტონ ქათალიკოსზედ. ამას შემდეგიც უნდა დავუმატოთ:

როგორც შევიტყეთ, თელავის სასულიერო სასწავლებლის ზედამხედველად ნამყოფს ბ. ნ. მ—შვილს დაუწერია გამოკვლევა დავით რექტორზე, ხოლო აწინდელს ინსპექტორს ბატ. ბ. ს—შვილს შეუდგენია ვრცელი ისტორიული წერილი წმინდა ნინოზედ და საქართველოში ქრისტიანობის გავრცელებაზედ. თავის გამოკვლევას, უეჭველია, ბეჭდვით განუზიარებენ მოხსენებულნი ავტორნი ჩვენს საზოგადოებას და თუ ისტორიული საზოგადოება დაარსდა, სხვაფრივაც დაეხმარებიან. ბატ. ს—შვილისა და მ—ლის ბაძი, რასაკვირველია, გამოიწვევს სხვა პირთაც სამშობლო ისტორიის შესწავლის ასპარეზზედ.

კერძო პირთა მოლაპარაკებაზედ ისიც გადასწყვიტეს, რომ ხელ-მეორედ შეიკრიბნენ მოკლე ხანში და ვრცლად და დალაგებით განიხილონ საზოგადოების დაარსების და მისის მოღვაწეობის პროგრამის საქმე.

— [illegible] ბალში იყო გამართული სეირნობა. ყველაზედ უფრო გასართობი მაყურებლებისთვის სხვა-და-სხვა ფერის შუქიანის ცეცხლის შუშხუნები იყო. მუსიკის დიდი ხორო, რომელშიაც ცხრა ცალკე ხორო და ორასი მედაფე იღებდა მონაწილეობას, რასაკვირველია, დიდს ძალს ხალხს მიიზიდავდა. ყველანი ამ არა ჩვეულებრივ ორკესტრს მიჰყვებოდენ. ორკესტრის წინ იდგა საჩირაღდნო ვარსკვლავი, რომელიც ჯერ არ აენთოთ. ერთბაშად ბაღის ბოლოდგან ამოვარდა შუშხუნა, რომელიც ხალხს ერთს საჟენზედ ასცილდა, მერე გვერდზედ შიშინით და წუწუნით გაქანდა ხსენებულის ვარსკვლავისკენ, მოხვდა მას და წუთზედ ათასს ფერადად გაბრწყინდა ვარსკვლავი. ვიდრე შუშხუნა ხალხის თავებს ზემოდ მიფრინავდა, ყველას ეგონა, რომ ან აქ ჩამოვარდებოდა, ან იქ და შეშინებული ხალხი აქეთ-იქით იფანტებოდა. არ იყო ცუდი აგრეთვე ჩარხი სხვა-და-სხვა ფერის შუქებით და შუშხუნებით. ორკესტრი ვერ იყო ისე გაწყობილი, რომ ხალხზედ სრული ზედ-მოქმედება ჰქონოდა, მაგრამ, როგორც უნდა ყოფილიყო, მაინც საკმაოდ გასართობი იყო. ყველაზედ უკეთესად მან აღასრულა «ზორია», რომელშიაც მემუსიკე სალდათები, უეჭველია, მეტად გავარჯიშებულები უნდა იყვნენ, რადგანაც ამ ხმას თითქმის ყოველ-დღე უკრავენ.

— ქართლიდამ ჩამოსულებმა გვიამბეს, რომ დ. ცხინვალში, რომელსაც ეხლა ცოტაოდენი განცხოველება დაეტყო, კერძო კლუბი დაუარსებიათ. ჯერ-ჯერობით ის კლუბი მოკლებულია წესდებას და წევრნიც ისე არ უცქერიან მას, როგორც გონების სავარჯიშო დაწესებულებას, რომელშიაც ან გაზეთები უნდა იპოვებოდეს და ან საკითხავი წიგნები. ჯერ იგი წარმოადგენს ქაღალდის და ლოტოს სათამაშო სახლს, რომელშიაც ცხინვალელთ გარდა, ახლო-მახლო სოფლებიდამ იკრიფება თავად-აზნაურობა და სასიამოვნო შესვენების მაგივრად, ამ გვარ გონებისა და გრძნობის დამახშობელს ვარჯიშობას მისდევს.

დიდად საჭიროა, რომ ადგილობრივმა მოწინავე კაცებმა უფრო გონივრულად და რიგიანად მოაწყონ ამ ნორჩი საზოგადო დაწესებულების საქმე.

— გორის მაზრის ოსეთიდამ გვწერენ შემდეგს გარემოებას: „სოფ. სუარში მცხოვრებელს ოსს, ბოგაშვილს, ძალით მიეთხოვებინა თავისი, მთელ ხეობაში სილამაზით განთქმული, ქალი ერთი მახინჯი და ხანში შესული კაცისათვის, მხოლოდ იმიტომ, რომ ირადი აელო მის მთხოვნელისაგან. ქალმა არ მოინდომა ქმართან დადგომა და ეხვეწებოდა მშობლებს — თავს ნუ მომაკვლევინებთო, მაგრამ მისმა ხვეწნამ ამაოდ ჩაიარა და საბრალო ქალმა ერთ მაღალ ნაძვზე თავი ჩამოიხრჩო; საქმე გამოძიებაშია და არ ვიცით, როგორ იწარმოვებს. ერთი-ორი კვირის შემდეგ ისევე იმ სახლის გმირთაგანმა სიკვდილის პირამდე მიიყვანა თავისი ცოლი ცემით, იმ მიზეზით, რომ ბავშვი აკვანში არ ჩაეწვინა! ქალი ეხლა სამშობლოშია და მძიმე ავადმყოფობას გადურჩება თუ არა, ღმერთმა იცის».

— იქიდამვე გვატყობინებენ: «ძალიან გახშირდენ ჩვენში მგლები, რომელნიც, საქონლის გარდა, ადამიანსაც არ ერიდებიან. ამას წინედ სოფ.

---

თაღმი გულ-შემატკივრობას ვიცნობთ, იქნება, ისიც დავიჯეროთ, რომ ბრალდებულთ ეხლანდელი ჭირი — ფულის უქონლობა და უშოვნელობა — მარგებელ ჭირად გადაექცათ. მაი თუ ბ. ქეზელი რომ წამდგარიყო პალატის წინაშე და თავისი საადვოკატო ფარხმალი ამოელაგებინა, ან უეცრად თავის ჩვეულებისამებრ გაოჩნებული ყო, ეხლა თავისუფლად მოსიარულე ბრალდებულნი იქ გაერეკინებინა, სადაც, მართალთა შორის უმართლონიც განისვენებენ...

***

მაგრამ ეს ჩვენთვის სრულიად საჭირო არ არის, გაამართლა სასამართლომ ბრალდებულნი თუ არა. საყურადღებო ის არის, რომ ლიტერატურაშიაც ფეხ-ჩადგმული ადვოკატი, რომელსაც არა-ერთხელ გაულაშქრია ადვოკატების ანგარ-მოყვარეობის წინაამდეგ, თითონვე გვაძლევს მაგალითს ამ ანგარ-მოყვარეობისას და თავის კლიენტებისადმი ჯიბრში ჩადგომისას. დიაღ, ჯიბრში ჩადგომისას, სხვაფრივ ვერ აგვიხსნია ბ. ქეზელის მოქმედება. მართლაც, ბ. ქეზელს რომ კანცელიარიებში არ ევლნა, არ მომზადებულიყო საქმისათვის და წინდაწინვე გამოეცხადებინა თავის კლიენტებისათვის: ყოველი შრომა უნდა შესაფერად ჯილდოვდებოდეს და თუ ამა და ამდენს არ მომცემთ, ხელსაც არ გავანძრევ თქვენს დასაცველადაო, — იქნება ამ მოქმედების გამამართლებელი საბუთი საადვოკატო კოდექსში კიდევ ეპოვნა. მაგრამ ბ. ქეზელი საქმისათვის მოემზადა, კანცელიარიებში სიარულით რამდენიმე წყვილი ჩექმა გასცვითა და გარჩევის დღეს მოაგონდა მხოლოდ, რომ აქამდის უქმად მუშაობდა და გულმოსულმა ბძანა, რახან აგრეა, იმათს ფეხს დავიკრავ თავზედ, თუ მე სასამართლოში გამოვცხადდე, სანამ ჯეროვანს გარდასახადს არ მივიღებო. დიაღ, ეს ჯიბრია და ძიელ მდაბალი ფასის ჯიბრიც. კიდევ არაფერი, ბ. ქეზელი რომ ჯიბრში ჩასდგომოდა მდიდარს ვისმეს, რომელსაც რამდენიმე ათასის მანათის დავა ჰქონოდა თავის მოპირდაპირესთან, მაგრამ, არა, ჯიბრში ჩაუდგა სამს უბედურს, რომელთაც, ცოტაც არის შეძლება რომ ჰქონოდათ, არავინ დააბრალებდა გლეხის ჩატიაშვილის სახლზედ გასაცარცვავად თავ-დასხმას: რა თქმა უნდა, შეძლება რომ ჰქონოდათ, ისინი ამ დღისთვის არასფერს დაზოგავდენ და თუ ბ. ქეზელს პირობა დროზე ვერ შეუსრულეს, ვერ შეუსრულეს, ალბად ყოველ-გვარი საშუალების მოკლებულობის გამო და არა რაიმე გაიძვერაობით.

***

დიაღ, ბ. ქეზელი ახლა მიხვდება ქართულის ანდაზის მნიშვნელობას, რომ, რასაც კაცი თავის თავს უზამს, იმას მტერი ვერ უზამს და იმასაც მიხვდება, რა ჯურისა და ლოგიკის პატრონის ხალხზეა ნათქვამი ეს გონიერი ანდაზა. საკვირველი ეს არის, ბ. ქეზელს თავის ახლო მეზობლის, «ახალ-მიმოხილვის» მეორე თანამშრომელ ბ. ზოილისაგან მაინც ვერ შეუთვისებია ის სადაბო ადვოკატების ლოგიკა, რომელსაც ბ. ზოილი ხშირად ეტანება. თუ გაზეთებს თვალყურს ადევნებთ, ამ დღეებში, უეჭველია, ნახავდით ბრწყინვალე ნიმუშს ამ გვარის ლოგიკისას, რომელსაც წვრილს დაბებში ხშირად ხმარობენ კანცელიარიის მოსამსახურენი, ხამი ხალხისაგან ადვოკატად წოდებულნი.

ჩვენს გაზეთში იყო დაბეჭდილი წერილი მაკარიძის ქალის თავის-მოკვლის გამო. ამ წერილში შემდეგი აზრი იყო გატარებული: თუმცა ჩვენი ლიტერატურა დიდი ხანია სჯის და ბაასობს დედა-ენის აუცილებელ საჭიროებაზედ, მაგრამ ჩვენს საზოგადოებას ჯერაც არ შეუგნია ეს შეურყეველი ჭეშმარიტება და დედა-ენის უცოდინარობა ეხლაც ძალიან გავრცელებული სენია. ახალ-თაობა ვერა სწავლობს ხეირიანად უცხო-ენას, დედა-ენასაც ვერ ითვისებს და რჩება ორ წყალ შუა. ვერ შოვობს სამუშაოს იმ სფერაში, საცა დედა-ენაა საჭირო, არ აძლევენ ადგილს იმ უცხო სფერაში, სადაც ბუნებით უცხოელნი ყოველთვის სჯობნიან მას არსებობისათვის ბრძოლაში და ამ გვარად, ახალ თაობის წარმომადგენელნი, მოკლებულნი ცხოვრების სახსარს, ხშირად უკიდურესობამდე მიაღწევენ ხოლმე და ხანდისხან თავის მოკვლით ისპობენ სიცოცხლეს. ამის მაგალითად იყო დასახელებული ერთი ამბავი, რომელიც საზოგადოების მეხსიერებიდამ ჯერ კიდევ არ გამოსულიყო, სახელდობრ, თავის-მოკვლა მაკარიძის ქალისა, რომელიც გამოიწვია სწორედ ზემოდ აღწერილის მსგავსმა გარემოებამ.

ბ. ზოილი, სიამის ტყუპი ბ. ქეზელისა, აღიჭურვა თვისის საპლაკატო ლოგიკით და იოხუნჯა ჩვენის გაზეთის დასკვნაზედ: ერთი შეხედეთ, „დროება“ რაებს ამბობს — «ქართული ენა რომ სცოდნოდა მაკარიძის ქალს, თავს

სომისში მგლებმა იმსხვერპლეს ერთი პატარა ბავშვი, გვარად ჯუგაშვილი.

═ გაზ. „ნოვოსტში“ მოყვანილია მომავალი წლის სავარაუდო ანგარიში სახემწიფო ხარჯისა, რომელიც უნდა ხაზინას შეუვიდეს სხვა-და-სხვა მხრიდამ. ამ ცნობებიდამ სჩანს, რომ ამიერ-კავკასიის გლეხობიდამ ხაზინა მოელის სახემწიფო გადასახადს 10,437,994 მან.

## ბ. ი. გოგებაშვილის «საპასუხო»-ს გამო.

(წერილი რედაქტორთან)

ზოგიერთა მიზეზებისაგამო, დღემდე არ მქონია შემთხვევა ბ. ი. გოგებაშვილისამებრ ბ. ბაბიჩევაძის პასუხად „დროების“ მე-192 №-ში დაბეჭდილი «საპასუხო» წამეკითხა.

საზოგადოდ, ბ. გოგებაშვილს ჩვეულებად აქვს ყოველს თავის ნაწერებში ის აზრი გაატაროს, რომ «ჩვენ ეს გაგვიკეთებია», „ჩვენ ამას ვაკეთებთ», „ჩვენ განზრახვა გვაქვს ესა-და-ეს გავაკეთოთ“ და სხვ. ისე მისი წერილი არ დაიბეჭდება, რის შესახებ და ვის პასუხადაც არ გინდა იყოს, რომ დაახლოებით ამ გვარი აზრი არ იყოს გატარებული.

რასაკვირველია, «საპასუხო»-შიც ვერ ასცდა თავის ჩვეულებას: ლექსის შედგენის განზრახვაც ჰქონია, არითმეტიკაც შეუდგენია, მაგრამ «შეუჩერებია», პედაგოგიური გამოცემაც დაუწყია, მაგრამ დროებით ისიც «შეუჩერებია».

მე მგონია, ეს ჩვეულება ბ. გოგებაშვილს იქამდის წარიტაცებს, რომ, ეს საგნები რომ შემოელევა, ასტრონომიის, ასტროლოღიის, კოსმოგრაფიის, მეხანიკის, ტეხნოლოგიის და სხვა ამ გვარი «სამეცნიერო» წიგნების შედგენასაც მიჰყოფს ხელს: თითო-ოროლა ფურცელს ყველა ამ საგნებიდამ დასწერს და ამით საშუალება მაინც ექმნება, ჩვეულებისამებრ, კიდევ წარმოგვიძღვნას, ე. ი. გვაუწყოს: „ჩვენ დიდი ხანია დაწყებული გვაქვს ესა-და-ეს შრომა, მაგრამ...“

აი, რას ამბობს ბ. გოგ—შვილი სხვათა შორის თავის «საპასუხო»-ში:

«ნობათი»-ს მსგავსი გამოცემა ჩვენც გვქონდა დაწყებული, მაგრამ მის გაგრძელება შევაჩერეთ იქამდის, ვიდრე ეს სასარგებლო გამოცემა არ მოიპოვებს ხუთასს წლიურს ხელის-მომწერს მაინც და მტკიცე ნიადაგზედ არ დასდგება.»

რა საჭირო იყო ბ. ბაბ—ძის პასუხად დაბეჭდილს „საპასუხო“-ში „ნობათ“-ზე ლაპარაკი?— ჩვეულების ბრალია სულ, მე თუ მკითხავთ. რათა გაქვთ, ბ. გოგ—შვილო, ჩვეულებად «შეაჩეროთ» რომელიმე «თქვენი» შრომა, თუ იმ შრომას თქვენ აუცილებელ საჭიროებად და სასარგებლოდ სთვლითო? თუ თქვენ დარწმუნებული ხართ, რომ «ნობათი» სასარგებლო გამოცემაა, რად გინდათ უცადოთ იმ დროს, როდესაც ამ ჟურნალს ხუთასი ხელის მომწერი ეყოლება? რა მნიშვნელობა უნდა ექმნეს ამას თქვენ მიერ განზრახული «ჟურნალისათვის»?

მე კი ესე ვფიქრობ: თუ «ნობათი» სასარგებლო გამოცემაა ჩვენი საზოგადოებისათვის— იხმარეთ საშუალება, რომ ამ სასარგებლო გამოცემას ღონე არ მოაკლდეს; მიეცით ეს საშუალება, რითაც კი შეიძლოთ.

«ერთმანეთის დახმარებას, შეერთებულს შრომას, ხელის მომართვას შეუძლიან დიდი სამსახური გაუწიოს ჩვენს პედაგოგიურს ლიტერატურას, გაამდიდროს იგი და აალორძინოს. ინტრიგა, წვრილმანი კონკურენცია, ერთმანეთის ხელის მოშლა კი მას დიდად დააბრკოლებს და არც თვითონ ამ აზრის მიმდევარს პირებს დააყრის ხეირს“.

აი, თქვენი აზრი, იმავე „საპასუხო“-ში გამოთქმული. კარგი და პატიოსანი. თუ „ნობათი“ სასარგებლო გამოცემაა, რაღა საჭიროა თქვენ მიერ განზრახულის და „შეჩერებულის“, ჟურნალის გამოცემა მის შემდეგ, როცა „ნობათი“ ხუთასს წლიურ ხელის-მომწერს შეიძენს? ნუ თუ ერთი პედაგოგიური გამოცემა საკმარისი არ იქნება მკითხველი საზოგადოებისთვის? და თუ სცნობთ, რომ „ნობათი“ უვარგისი გამოცემაა, ჩემის აზრით, ძლიერ შემცდარხართ, თქვენი განზრახვა რომ „შეგიჩერებიათ“. „ნობათი“-ს რედაქციას, გარდა საზოგადო მოთხოვნილების დაკმაყოფილებისა და სარგებლობისა, არავითარი განზრახვა არ მიუძღვის—ეს, მგონი, ყველასათვის ცხადია. და თუ ამ განზრახვას „ნობათი“ ვერ ასრულებს, უკეთესია ეხლავე, ამ თავითვე მოკვდეს, ვიდრე თავის არსებობით ორგვარი ვნება დაბადოს და თქვენი პატიოსანი განზრახვა „შეაჩეროს.“

ანდრ. ღულაძე

(«ნობათი»-ს რედაქტორი—გამომცემელი)

## ტელეგრამები

(„ჩრდილოეთის სააგენტოსი“)

სექტემბრის 13-ს

ეკატერინებურგი. ქალაქ გარედ მარხილით სასიარულო გზა გაკეთდა.

კიევი. იმ საქმეს, უნივერსიტეტის რეკტორს რომ ფანჯრები ჩაუმტვრიეს, იძიებს განსაკუთრებულ სამძიმო საქმეთა გამომძიებელი.

სექტემბრის 14-ს.

ვენა. იტალია მიემხრო სახელმწიფოთა პროტესტს ეგვიპტის სახელმწიფო ვალის საქმეში.

ბრიუსელი. ლიბერალურმა კავშირმა გამოსცა პროკლამაცია, რომელშიაც ურჩევს სასკოლო კანონის პატივისცემას და აფრთხილებს რესპუბლიკელებთან შეერთების წინააღმდეგ.

რომი. ხოლერა თან-და-თან სუსტდება: ნეაპოლში გუშინ მარტო 121 კაცი მოკვდა; მაგრამ გენუაში კი გაძლიერდა: იქ სექტემბრის 24 (ახ. სტ.) ცხრა შემთხვევა იყო

ალარ მოიკლავდაო.“ სწორედ ასევე სჯიან და ადვოკატობენ სოფლის აბლაკატები, რომელთაც გონების განვითარება ნებას არ აძლევს რომელსამე საგანს ჯეროვანად ჩაუკვირდენ და მისი საზოგადო აზრი შეიგნონ (თუმცა კანცელიარებში ისინიც კი ხშირად დაიარებიან), მთელის ბასიდამ ერთ-ერთ აზრს ცალკე გამოიღებენ, არ მიაქცევენ ყურადღებას იმას, რაც წინ მიუძღვის, ან რაც უკან მისდევს და მერე, ვინ იცის, რას არა სწამებენ თავიანთ მოპირდაპირეს, ხშირად უფრო იმას, რაც თითონ განუკურნებელ სენად დასჩემებიათ.

***

მკითხველი მოგვიტევებს, რომ მთელი დღევანდელი ფელტონი მოვანდომეთ ბ. ქეზელს და მის ტყუპის ცალ.ს ბ. ზოილს. არც ბ. ქეზელი და არც ზოილი არა ღირან იმად, რომ მისი ყურადღება ამდენი ხანი მათზე შევაჩეროთ, მაგრამ ბ. ქეზელის წერილი ისე შესანიშნავია ჩვენის ცხოვრების უკულმართობის გამოსახატავად, რომ ვერ მოვითმინეთ იგი ყოველ-მხრივ არ გადაგვეთვალიერებინა.

მაინც, ბოლოს ვიხდით მკითხველებთან, მეტადრე იმისთანა ქართველ მკითხველებთან, რომელთაც «ახალი მიმოხილვა» უკითხავთ და ამ ორი ტყუპის ნაწერებისათვის თვალი უდევნებიათ. იმათ ესმით, როგორ ისვრება კაცი, როდესაც ამისთანა ცხოველებს შეეხება, მაგრამ ისიც ეცოდინებათ, რომ ახალს მეცნიერებას საუკეთესო ღონედ ადამიანის ცხოვრების გაუმჯობესობისათვის უცვნია სხვა-და-სხვა წვრილმანი მიკრობების გაცნობა, რომელნიც თუმცა უხილავნი და უმნიშვნელონი არიან და ყოველთვის უწმინდურ ატმოსფერაში ფუსფუსებენ, მაგრამ ვნების მოტანა კი დიდი შეუძლიათ და ეხერხებათ კიდეც, სწორედ იმ გვარადვე, როგორც ერთ წუწკ თაგვს ასიანის წაპილწვა არ გაუჭირდება.

## განცხადებანი

უარ გვიყვა!

ყოველივე ისტორიული თხზულება, გამოკვლევა, ძიება და წერილი საქართველოს შესახებ, რომელსაც კი ჩვენი კალამი არ მოხვედრია.

(100000—1) ძმანი ჯანაშვილები.

—

ვიპოვნე

ძველი სახარება!

რომელიც რომ ჩემის აზრით უნდა ეკუთვნოდეს მეათე საუკუნეს ქრისტეს დაბადების წინად.

ზ. ჭ.

—

საყოველთაო

საადვოკატო და სალიტერატურო

კანტორა.

მაქვს პატივი ვაუწყო პატივცემულ საზოგადოებას, რომ მე ვიღებ ზაკაზს საგაზეთო სტატიებისას ყოველ გვარ სიგრძე-სიგანე-სიპტყე და მიმართულებისას.

ფასი

სტრიქონზედ პეტიტით (წვრილი შრიფტით) 5 კაპ., ციცეროთი 3 კაპ.

აგრეთვე „ვაწარმოებ ყველა-ნაირ საქმეებს განსაკუთრებით სასისხლო სამართალში(!)“, საქმეს მუყაითად ვეკიდები (თუნდა კანცელიარებში იკითხეთ). ვიცავ უფრო იმისთანა ბრალდებულებს, რომელთაც სასამართლო უადვოკატოდაც ამართლებს.

ადრესი, 1882 წ. «შრომის» რედაქციაში, 1883 „დროების“ რედაქციაში, 1884 „ახალ მიმოხილვის“ რედაქციაში, მასუკან „ნოვოე ვრემიას“ რედაქციაში და ბოლოს, თუ კოჭი ალჩუს დამიჯდა, „მოსკოვის უწყებების“ რედაქციაში მომნახეთ.

(10—10) დ. კ.

—

ჭეშმარიტების აღდგინებისა გამო

რასაც რომ «დროების» გაზეთი სწერს, ტყუილია!, ტყუილია!! და კვალად ტყუილია!!! ამინ.

„მწყემსი“

—

ქალაქ ქუთაისის გამგეობა

მოიწვევს იმ პირთ, რომელნიც ისურვებენ და იჯარით აიღებენ «პასტავკას» სათამაშო ქაღალდისას, (ე. ი. ბანქოსას) მისდამი მინდობილი ქალაქისათვის. „პასტავკა“ ვაჭრობით გაიცემა. წელიწადში საჭიროა არა ნაკლებ სამი მილიონი კალოდისა. ნაღდი მოგება ორ-პირის ქუჩის გასუფთავებას მოხმარდება.

(3—1)

—

გომბორის გზის

ინჟენერები

ამით აცხადებენ, რომ რადგან ფრანცუზებმა ჰაერში მფრინავი მაშინა მოიგონეს, ამ გზაზედ შოსეს გაკეთება მეცნიერების უარ-ყოფა იქნება.

(1—1)

ხოლერით სიკვდილისა, ხოლო გუშინ 60.

პარიჟი. გლიშში, პარიჟის ახლოს, ორი შემთხვევა იყო ხოლერით ავად-გახდომისა.

ენკენისთვის 15.

რიგა. რადგან ცხენის ქურდობა გავრცელდა, კურლანდიისა და ლიფლანდიის მემამულენი წრე შეამდგომლობს მისგან ნება დაასწრონ ცხენის ქურდობისაგან საზღვევი საზოგადოების და ამასთანავე ცხენების «ბაშპორტებიც» შემოიღონ.

ბერნ. გერმანიისა და ავსტრიის ექვსი ხელოსანი განდევნეს შვეიცარიიდან ანარხიული მოქმედების განზრახვისათვის.

პეტერბურგი. გამოცხადდა მინისტრების კომიტეტის წინადადების უმაღლესად დამტკიცება, ქ. ხარკოვში სამხრეთ რუსეთის მუშა ხალხთა დამხმარ საზოგადოების დაარსებისა.

რომი. გენუიდამ მომავალი გემები იმავე წესით მიიღებიან, როგორათაც ნეაპოლიდამ მომავალი გემები. 25 ენკენისთვეს ხოლერით გარდაიცვალა გენუაში—20, ნეაპოლში—127; მთელს იტალიაში სულ 220 სული.

# ცნობანი

## მაზანდა

ხორაგისა, რომელიც იყიდება ტფილისის ბაზრებში, დუქნებში და ხელ-და-ხელ 1 სექტემბრიდამ 1 ოქტომბრამდე 1884 წ.

| | | |
|---|---|---|
| გამომცხვარი პური რუსეთის ფქვილისა — | —1 გირ. | 5 კ. |
| აქაურის ფქვილისა: პირველის ხარისხისა — | —1 გ. | $2\frac{1}{2}$ |
| მეორისა — — | —1 გ. | 2 კ. |
| იმავე ფქვილ. თორნეში გამომცხვარი: | | |
| პირველი ხარისხის | —1 გ. | $4\frac{1}{2}$ |
| მეორისა — — | —1 გ. | 3 კ. |
| მესამისა — — | —1 გ. | $2\frac{1}{2}$ |
| ჭვავის-მამი პური: | | |
| პირველი ხარის. ლავაში | 1 გ. | $4\frac{1}{2}$ |
| მეორის ხარის. ლავაში | 1 გ. | $3\frac{1}{2}$ |
| მესამისა — — | —1 გ. | 3 კ. |
| ძროხის ხორცი: | | |
| პირველის ხარისხისა | —1 გ. | 7 კ. |
| მეორისა — — | —1 გ. | 6 კ. |
| სუკი . . . . | —1 გ. | 14 კ. |
| ცხვრის ხორცი | —1 გ. | 7 კ. |
| ღორის ხორცი: | | |
| პირველის ხარისხისა | —1 გ. | — კ. |
| მეორისა — — | —1 გ. | — კ. |

## რკინის გზა

თბილისიდამ ქუთაისისკენ მიდის
8 საათზედ და 31 წამ. დილით

თბილისიდამ მარტო ხაშურამდინ
3 საათ. და 11 წამ. შუადღის უკან.

თბილისიდამ ბაქოსკენ
10 საათზედ და 45 წამ. დილით.
(სამშაბათობით საჩქარო 10 ს. 58 წ. დამ.)

ქუთაისიდგან თბილისისკენ
12 საათზ. და 25 წამ. შუადღ. უკან.

ქუთაისიდგან ბათუმისა და ფოთისკენ
5 საათზედ და 20 წამ. შუადღის უკან.

ბათუმიდგან თბილისისკენ
8 საათ. დილით.

ფოთიდგან თბილისისკენ
8 საათ. და 45 წამ. დილით.

ფოთიდამ და ბათუმიდამ მომავალი თბილისში შემოდის
10 საათზედ და 25 წამ. ღამით.

მარტო ხაშურიდამ მომავალი თბილისში შემოდის
8 საათზედ დილით

ბაქოდამ მომავალი შემოდის თბილისში
2 საათ. და 30 წამ. შუადღის უკან.
(პარასკევობით საჩქარო 7 ს. 53 წ. დილ.)

# განცხადებანი

ქართვ. პოვერნია (ვექილი) სასამართლოს საქმეთა ნაცვალნი სოვეჟნიკი

ნიკოლოოზ სიმონის-ძე გამრეკელი

სცხოვრებს ქუკიაში მეორე არსენალის ქუჩაზედ, მეჩვიდმეტე ნომრის სახლში ნიკა ზაქარიას-ძე ზალიევისას და იღებს წარმოებას როგორც სისხლის სამართლის საქმეთა, აგრეთვე სამოქალაქოთა. მიიღებს მსურველთ დილაზედ 8—9 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდე. (1—1)

ინგლისური რკინის კრაოტები.



ერთის საწოლი 7 მანეთიდგან და ორის საწოლი 14 მანეთიდგან, მათი ლეიბები, ზღვის ბალახით გატენილი 5-დგან 8 მანეთამდინ. კიდევ შემდეგი ნივთები იყიდება 25%-თ უფრო იაფად, ვიდრე სხვაგან სადმე: ბრიტანიის მეტალის ნივთები, ჩაიდნები, საკარაქე, საშაქრე, ჩაის და სტოლის კოვზები ჩანგლებითა, ფადნოსი, დასადგმელი, პირისსაბანი, სტაქნები, სუფოვნიკი, საწურო, სვები, რიუმკები, გრაფინკები, საქაშური თებშები, ბლიუდები, სასალათეები, ტაშტები, სარძევეები, სამარილეები, გარჩიცის საფსკეები, უნაგირები კაცისა და ქალისა; აღვირები, ხლისტები, ტანისამოსის დასაკიდებლები, საბალო მაკრატლები, ჯაქსები, უთოები, წისქვილები, ხერხები, ქლიბები, კლიტეები, ინგლისის თოფები და რევოლვერები, შიფები, ზარადები, კაპსიულები, ხაფანგები, ნიჩბები, კატერპრუფი, საბნები, ჩულქები, წინდები, სუფრები, სალფეტკებისათვის რგოლები, ემალიანი ჭურჭელი, მურაბები, კამფეტები, პიკულები, სოუსები, ზღვის ბალახი, დიმიტიკონები და სხვ. ინგლისურს მაღაზიებში №№ 156-157, 158, 159, და 160. ამ ნომრებს ყურადღება მიაქციეთ. (100—50)

ინგლისის მაღაზია
Maison de confiance

| შეადარეთ ჩვენი ჩაი | მოსკოვის ჩაის |
|---|---|
| 1 მ. 10 კ. | 1 მ. 40 კ. |
| — — 1—20 | — — 1—60 |
| — — 1—40 | — — 1—80 |
| — — 1—60 | — — 2— ,, |
| — — 1—80 | — 2 — 50 |
| საუკეთესო 2— ,, | — 3 — ,, |

იქვე ისყიდება სხვა საქონელიც: თოფები, რევოლვერები, კრაოტები, ჭურჭელი, ჩაიდნები, გასაღებები, დანები, კოვზები, ტაშტები, კალმები, ქაღალდი, მოკოლადი, კაკაო, კანფეტები, მურაბები, მაგნეზია, უნაგირები, კლეონკა, წინდები—კაცისა და ქალისა, ხელ-სახოცები, მაკინტოშის კალენკორი—სულ უველაფერი 25-დამ 50 პროცენტით უფრო იაფად, ვიდრე სხვა რომელსამე მაღაზიაში.

ვინც ქალაქს გარედამ 25 მანეთიდამ 1,000 მანეთამდინ საქონელს გამოიწერს, გასაგზავნს არაფერს არ იხდის. (100—62)

ვისრამიანი
და
განდეგილი

პოემა თ. ი. ჭავჭავაძისა

ისყიდება ,,წერა-კითხვის საზოგადოების'' კანცელარიაში, სადაც ჟურნალ ,,ივერიის'' რედაქციაა. (სიმონსონოვის ქუჩა, ნაზაროვის სახლი 1-ლი გიმნაზიის უკან.)

| | | |
|---|---|---|
| ფასი ,,ვისრამიანისა'' | 1 მან. | 50 კ. |
| გაგზავნით — — — | 1 მან. | 70 კ. |
| ,,განდეგილისა'' — | „ | 15 კ. |
| გაგზავნით — — — — — | | 20 კ. |

წიგნის მაღაზიებს ნაკლებად დაეთმობათ. (10—10)

ბიბლიოგრაფიული განცხადება

კონა პირველ-დაწყებითი მოთხრობებისა ბუნების მეცნიერებიდგან, შედგენილი იაკობ გოგებაშვილისა, მეორე გამოცემა, შევსებული და შემკული სურათებით. ფასი ათი შაური. ვინც ერთად იყიდის ოცსა ან მეტს ცალსა, წიგნი დაეთმობა 42 კაპეიკად.

დედანი ქართული წერისა, სასწავლებლებში სახმარებელი, შედგენილი მისივე, მთლად ამოითხარა ქვაზედ, იბეჭდება უკანასკნელი თაბახი და მზად იქმნება გასასყიდად პირველის აგვისტოსათვის. დედანი იპყრობს: სახატავებს, ხელის სავარჯიშოებს, ქართული ასოების, ნაწილებს, მრგვალს ხელს, ორასზედ მეტი სურათით,—მრგვალი ხელი თავში მოთავსებულია ბადეში, შემდეგ ექვს მწოლარე ხაზს შუა, ოთხს ხაზს შუა, ორს ხაზს შუა, ერთს ხაზზედ და ბოლოს უხაზოდ,—ეს პირველი განყოფილება თავდება წვრილი მრგვალი და შუალა ხელით. შემდეგ არის დაბეჭდილი ნუსხური ჯერ გადაუბმელად, მერმე გადაბმით—მომსხო და წვრილი ხელი. ბოლოში არის დამატება, რომელიც იპყრობს თორმეტს ნიმუშს სხვა-და-სხვა ძველი საუკეთესო ნაწერებიდგან გადმოღებული ხელისას. ამას გარდა დედნის დასასრულში ჩართული იქნება ვრცელი დარიგება მასწავლებელთათვის. ფასი ექვსი შაური. სკოლებს და მაღაზიებს დედანი დაეთმობათ ხუთ შაურად, როცა იყიდიან ერთად ოცს ან მეტს ცალსა.

საწყობი —გრიქუროვის მაღაზია, ძუკიის ხიდის ყურთან. (10—9)

ინგლისის მაღაზიაში

თმის-ამომყვანი მაკ-მასტერი



ამაგრებს თმას და აღრინდელ ფერს აძლევს, ფასი ერთი შუშისა 2 მან., გაგზავნით 2 მანეთი და 28 კაპ. (100—66)

აქვე ისყიდება ქინის პომადა თმების გასამაგრებლად. ფასი 1 მან., სწოტკები თავის ტკივილის მოსასპობლად, ტუალეტის საპონი, დუხები და სხვ.

არწრუნისეულ ქარვასლაში

სასახლის ქუჩაზედ, იძლევა ქირით მაღაზიები, სადგურები კანტორებისა, სავაჭრო სახლებისა და საწყობებისათვის. პირობების შეტყობა შეიძლება ქარვასლის კანტორაში. (25—9)

Доз. ценз. Тифлисъ, 15 Сентября 1884 г. სტამბა არ. ქალანდაძისა და ამხ. გამომცემელი გ. ქართველიშვილი. რედაქტორი ი. მაჩაბელი